სსიპ- საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო

სასწავლო უნივერსიტეტი

ქ.თბილისი

18 აგვისტო 2020 წელი

საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი N 01

ესწრებოდნენ :

რექტორის მიერ გამოცემული 2020 წლის 5 აგვისტოს N 01-61 ბრძანებით განსაზღვრული კომისიის შემდეგი წევრები :

გიორგ ფარულავა -პროფესორი (საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე)

ვასილ ლიპარტელიანი _ ასოცირებული პროფესორი (წევრი)

ნესტან ეგეტაშვილი - ასოცირებული პროფესორი (წევრი)

ქეთევან ედილაშვილი_-ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის მთავარი სპეციალისტი, (საკონკურსო კომისიის მდივანი.)

დღის წესრიგი:

1. სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორის აკადემიურ თანამდებობის დასაკავებელ 2020 წლის 3 ივლისის 01-49 ბრძანებით განსაზღვრულ კონკურში, გამარჯვებული კანდიდატების გამოვლენა.

/მომხს. პროფ. გ. ფარულავა /

მოისმინეს: გ. ფარულავამ კომისიის წევრებს ინფორმაცია მიაწოდა , კონკურსანტების შესაბამისობის შესახებ მათი აკადემიური და პროფესიული გამოცდილების კუთხით , 2019 წლის 28 თებერვლის 01-27 ბრძანებით განსაზღვრულ საკონკურსო კრიტერიუმებისა და „აკადემიური კონკურსის ჩატარების და აკადემიური თანამდებობის დაკავების წესი“-ს შესაბამისად.

მან კომისიის წევრებს შეახსენა, რომ ქართული და უცხო ენის კათედრაზე საგანში აკადემიური წერა, ასისტენტ პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე, განაცხადი წარმოაგინა ორმა კონკურსანტმა.

1. მანანა გოშაძემ
2. ეკატერინე მარუაშვილმა .

მომხსენებელმა მიუთითა, რომ საკონკურსო კომისიამ დეტალურად განიხილა აკადემიური და პროფესიული ნიშნით კონკურსანტების კვალიფიკაციის შესაბამისობის დამადასტურებელი ყველა დოკუმენტი . რის საფუძველზეც 2019 წლის 28 თებერვლის 01-27 ბრძანებით განსაზღვრული საკონკურსო კრიტერიუმებით , კონკურსანტების ქულათა ჯამი შემდგენაირად განისაზღვრა.

სახელი გვარი	ქულა
მანანა გოშაძე	129
ეკატერინე მარუაშვილი	104

პროფესორმა გიორგი ფარულავამ ხაზი გაუსვა, რომ 6 წლის მანძილზე უნივერსიტეტში ქალბატონ მანანა გოშაძის მოღვაწეობა წარმატებულია, რომ ის არის მოწესრიგებული ლექტორი, მისი სახელი დაკავშირებულია უნივერსიტეტში განსაკუთრებული სახის აქტივობებთან , კერძოდ, გამორჩეული ადამიანებისა და საზოგადო მოღვაწეების მოწვევასთან. რაც შეეხება მის სამეცნიერო- აკადემიურ მხარეს, წიგნი რომელიც გამოიცა 2015 წელს „ სახელოვნებო ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი " მეტად მნიშვნელოვანია, არა მარტო სამეცნიერო წარმოდგენებით არამედ აკადემიური თვალსაზრისითაც. იგი მეტად სასარგებლო ნაშრომია და იმსახურებს დიდ ყურადღებას. მისი მიერ 2019 წლის 28 თებერვლის, 01-27 ბრძანებით განსაზღვრულ საკონკურსო კრიტერიუმების მიხედვით დაგროვილი 129 ქულა მეტყველებს იმაზე, რომ ნამდვილად იმსახურებს ასისტენტ პროფესორის აკადემიუ თანამდებობას.

რაც შეეხება ქალბატონ ეკატერინე მარუაშვილს. მისი შრომები ამტკიცებენ რომ ის არის პროფესიონალი, მას აქვს დიდი გამოცდილება აკადემიურ სფეროში მუშაობის, თუმცა ამ ეტაპზე იგი რამდენიმე ქულით ჩამორჩება ქალბატონ მანანა გოშაძეს და ვფიქრობთ რომ მომავალში გამოცხადებულ კონკურსებში მან უნდა მიიღოს მონაწილეობა და ყურადღება მიაქციოს კონკურსის პირობებს.

აზრი გამოთქვეს:

ვასილ ლიპარტელიანმა აღნიშნა, რომ ქალბატონი მანანა გოშაძე, საქართველოს განათლების მეცნიერების კულტურის და სპორტის სამინისტროს და სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის ერთობლივი პროექტის ფარგლებში, უკვე მეორე წელია მუშაობს სპორტულ ტერმინთა განმარტებით ლექსიკონზე. შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე იგი არის როგორც მოწვეული ექსპერტის სტატუსით. არსებული სამუშაოს ფარგლებში ათასამდე ტერმინია განმარტებულია და სამინისტროს ოფიციალურ პორტალზე sport. Gov.ge -ზე ატვირთული. მიმდინარე წელს აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა სხვა სპორტულ სახეობებზე, როგორიცაა, ხელბურთი, კალათბურთი, ძიუდო , ჭიდაობა და ჯამში დაახლოებით 1000 ტერმინი წელსაც დაემატება , ეს პროცესი დაახლოებით სამი ოთხი წელი გაგრძელდება და ჯამში 5000-6000 ათასი ტერმინი იქნება დასამტკიცებელი. ზემოთხსენებულ პროცესში ქალბატონი მანანა გოშაძე აქტიურადაა ჩართული, წამყვანი როლი უკავია და მისი წვლილი ფასდაუდებელია. მას აგრეთვე დიდი გამოცდილება აქვს სტუდენტებთან მუშაობის და იგი ნამდვილად იმსახურებს ჩვენს უნივერსიტეტში ასისტენტ პროფესორის აკადემიურ თანამდებობას.

დაადგინეს:

ქალბატონი მანანა გოშაძე გამოცხადდეს კონკურსის გამარჯვებულად და გაეწიოს რეკომენდაცია ასისტენტ პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე დასანიშნად.

გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე გიორგი ფარულავა

საკონკურსო კომისიის მდივანი ქეთევან ედილაშვილი